

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ჰუსეინ ჰუსეინოვი კაჩაგანის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების მოსახლეობასთან შეხვედრის

ოქმი N1

ქ. მარნეული

20.09.2019 წელი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: - ჰუსეინ ჰუსეინოვი, ამირან გიორგაძე, მამუკა ნავერიანი, ბესიკ გელენიძე, გივი გიორგაძე, რომან ტაბატაძე.

სხდომას ესწრებოდა-კაჩაგანის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების: კაჩაგანის, თაქალოს, ხანჯიგაზლოს, კირაჩ-მულანლოს მოსახლეობა, ასევე მარნეულის მუნიციპალიტეტის მერი ზაურ დარგალი, მარნეულის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარის-პარლამენტის წევრის თამაზ ნავერიანის ბიუროს უფროსი აგილ ამირჯანოვი, მარნეულის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე ანარ გადიმოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან, მედიასთან, არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის და გენდერული საკითხების განყოფილების სპეციალისტი არჩილ მდივნიშვილი, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სპეციალისტი გიორგი ჩაჩანიძე

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, კაჩაგანის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის ჰუსეინ ჰუსეინოვის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, კაჩაგანის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა ჰუსეინ ჰუსეინოვმა კაჩაგანის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლების (კაჩაგანი, თაქალო, ხანჯიგაზლო, კირაჩ-მულანლო) მოსახლეობას წარუდგინა 2019 წლის ანგარიში. საკრებულოს წევრი შეეხო კაჩაგანის ადმინისტრაციულ ერთეულში 2019 წელს განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს. აღინიშნა, რომ მიმდინარე წელს სოფელ კაჩაგანში შიდა გზების მოასფალტება და საჯარო სკოლის გათბობის სისტემისა და კარ-ფანჯრების

გამოცვლა განხორციელდა.სოფელ თაქალოში გარე განათების მოწყობის სამუშაოები შესრულდა.სოფელ კირაჩ-მუდანლოს სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყობა და გარე განათების მონტაჟი განხორციელდა.სოფელ ხანჯიგაზლოში გზის რეაბილიტაცია II ეტაპი დასრულდა ასევე გარე განათების მონტაჟი განხორციელდა.

აზრი გამოთქვს: მოსახლეობამ ისაუბრა იმ პრობლემებზე, რომელიც აწუხებს სოფელი კაჩაგანის მოსახლეობას.ჩამოთვლილი პრობლემებიდან ყველაზე აქტუალურია სკოლის რეაბილიტაცია და შიდა ქუჩების მოასფალტება.

სოფელი თაქალოს მოსახლეობამ ყველაზე აქტუალურ პრობლემად დაასახელა საბავშვო ბაღის მშენებლობა, ტრამპლინი,გარე განათების მოწყობა და შიდა გზების რეაბილიტაცია დაასახელა.

სოფელი ხანჯიგაზლოს მოსახლეობამ ყველაზე აქტუალურ პრობლემად დაასახელა სასმელი წყლისა და სარწყავი წყლის რეაბილიტაცია,შიდა ქუჩების მოასფალტება და ნაგვის ურნები სკოლასთან .

სოფელი კირაჩ-მუდანლოს მოსახლეობამ ყველაზე აქტუალურ პრობლემად დაასახელა შიდა ქუჩების მოასფალტება,არხიდან სარწყავი წყალი სოფლამდე ვერ აღწევს წყალი ამიტომ არხების გაწმენდა არის სოფლის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა,გარე განათების მონტაჟის დასრულება სოფელში.

გადაწყვიტეს: მოსახლეობამ დადებითად შეაფასა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, კაჩაგანის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის ჰუსეინ ჰუსეინოვის გაწეული მუშაობის ანგარიში.